ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა
გეოგრაფია
III ტური
2022 წელი

➢ *კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-6*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) 1. სპექტრული კლასიფიკაციის მიხედვით, რომელი ჯგუფის ვარსკვლავებს მიეკუთვნება მზე?

ა) ცისფერი გიგანტების;
ბ) თეთრი გიგანტების;
გ) ყვითელი ჯუჯების;
დ) წითელი ჯუჯების.

(1) 2. გაერთიანებული სამეფოს რომელი ზღვისიქითა ტერიტორიის დედაქალაქი (პლიმუთი) დაიფარა 1995 წელს ვულკან სუფრიერ-ჰილსის ამოფრქვევის შედეგად ფერფლითა და ლავით მთლიანად?



ა) გიბრალტარის;
ბ) მონსერატის;
გ) კაიმანის კუნძულების;
დ) ბერმუდის კუნძულების.

(1) 3. რომელი სახელმწიფოს ეკონომიკის სტრუქტურას შეესაბამება მოცემული დიაგრამა?



ა) ავსტრალიის;
ბ) ჩინეთის;
გ) ლუქსემბურგის;
დ) ინდოეთის.

(1) 4. ევროპის კავშირში შემავალი რომელი სახელმწიფო ფლობს ბირთვულ იარაღს?

ა) გერმანია;
ბ) გაერთიანებული სამეფო;
გ) საფრანგეთი;
დ) იტალია.

(1) 5. რომელი ცხოველი *<u>არ ბინადრობს</u>* ინდოთში?

(1) 6. ქვემოთ მოცემულია კარტოგრაფიული პროექციების ტიპები:



რომელი რუკაა აგებული ცილინდრულ პროექციაში?



➢ *შესაბამისობის დადგენა - დავალება № 7 - 10*

ინსტრუქცია
დაადგინეთ შესაბამისობა და ნიმუშის მიხედვით შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული შესაბამისი ცხრილი. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(6) 7. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

	დროშა	სახელმწიფო	ეროვნული ვალუტა	მმართველობის ფორმა
ნიმუში:		*საქართველო*	*ლარი*	*რესპუბლიკა*
1				
2				
3				
4				
5				
6				

(7) 8. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე შეავსეთ ცხრილი:

	ფოტო	სახელმწიფო	ქალაქი
ნიმუში:	*ოპერის თეატრი*	*ავსტრალია*	*სიდნეი*
1	პეტრონასის კოშკები		
2	ტაიბეი 101		

3	მსოფლიო სავაჭრო ცენტრი 1 (თავისუფლების კოშკი) 		
4	აბრაჯ ალ ბეიტი 		
5	ბურჯ ხალიფა 		

6	სი-ენ-ტაუერი		
7	ოსტანკინო 		

(5) 9. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ნიმუშის მიხედვით შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილი:

№	საქართველოში გავრცელებული ლანდშაფტის ტიპი	კონკრეტული ლანდშაფტის სახელწოდება
ნიმუში:		*კოლხური პოლიდომინანტური ტყე*
1		
2		

3		
4		
5		

(5) 10. მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ნიმუშის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

№	საქართველოში მდებარე გეოგრაფიული ობიექტი	გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება	რა მაჩვენებლით არის იგი რეკორდსმენი საქართველოში
ნიმუში:		*მდ. ალაზანი*	*ყველაზე გრძელი მდინარეა*
1			
2			

3			
4			
5			

- *ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 11-13*

ინსტრუქცია

გააანალიზეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულების რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(3) 11. დიაგრამაზე მოცემულია ოთხი ქვეყნის სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტისთვის შიდა გადაზიდვების მონაცემები. გააანალიზეთ დიაგრამაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:



(2) 11.1. დიაგრამის ლეგენდისთვის განსაზღვრეთ ტრანსპორტის რომელ სახეობას შეესაბამება თითოეული ფერი/ციფრი?

1	ცისფერი	
2	წითელი	
3	მწვანე	

(1) 11.2. აირჩიეთ ერთი ქვეყანა და ახსენით, როგორ დაადგინეთ დიაგრამაზე ასახული ინფორმაციის შესაბამისობა ტრანსპორტის სახეობებთან

---

(3) 12. გააანალიზეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

იუგოსლავიის ფედერაციის დაშლის შემდეგ ერთ-ერთ ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოს სახელწოდებასთან დაკავშირებით პრეტენზია გამოთქვა ერთმა სამხრეთ ევროპის სახელმწიფომ. 2018 წელს ევროპის ამ ორ სახელმწიფოს შორის აღნიშნულ სადაო საკითხთან დაკავშირებით მიღწეულ იქნა შეთანხმება.

(2) 12.1. დაასახელეთ ევროპის ეს ორი სახელმწიფო?

---

(1) 12.2. ახსენით, რა საფუძველი ჰქონდა სახელმწიფოს სახელწოდებასთან დაკავშირებით წამოჭრილ დავას?

---

(10) 13. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

ეს სახელმწიფო განლაგებულია ორ დიდ და უამრავ პატარა კუნძულზე. ქვეყნის კლიმატი იცვლება ჩრდილოეთში თბილი სუბტროპიკულიდან, ზომიერად გრილ სუბტროპიკულამდე სამხრეთით, ხოლო ქვეყნის მთიან რეგიონებში გავრცელებულია ალპური კლიმატი. ქვეყანას მთელს სიგრძეზე გაუყვება მთათა სისტემა, რომელიც წარმოადგენს გეოგრაფიულ ბარიერს დასავლეთის ქარებისთვის. ეს გარემოება იწვევს ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებს შორის კლიმატურ განსხვავებას. ქვეყანა ცნობილია თავისი აბორიგენი მოსახლეობით და მათი თვითმყოფადი ცეკვით. აბორიგენი მოსახლეობა ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებში განსაკუთრებული უფლებით სარგებლობს. ქვეყანა მოქცეულია მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემის გავრცელების არეალში, რომლის გამოც აქ მაღალია ულტრაიისფერი გამოსხივება. აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს ქვეყანაში ერთ-ერთი სიმსივნური დაავადების კანის კიბოს პროვოცირებას, რომელიც დაახლოებით 4-ჯერ აღემატება ყველა სხვა ავთვისებიან სიმსივნის მაჩვენებლებს ერთად აღებულს.



კოსმოსური სურათი.

ეთნიკური ბატალიონი,1941 წელი ეგვიპტე.

იმავე ბატალიონის რაგბის გუნდი, 1943 წელი.



დიაგრამა 1.



დიაგრამა 2.

(1) **13.1.** რომელი სახელმწიფოა აღწერილი დავალებაში?

(2) **13.2.** დაასახელეთ ქვეყნის ორი უდიდესი კუნძული და სრუტე რომელიც გამოჰყოფს მათ?

(1) **13.3.** დაასახელეთ ქვეყნის უდიდესი მთათა სისტემა?

(2) **13.4.** რუკაზე ლათინური ასოებით დატანილ რომელ დასახლებულ პუნქტს შეესაბამება პირველი, ხოლო რომელს მეორე კლიმატური დიაგრამა? პასუხი ახსენით.

(2) **13.5.** დაასახელეთ ქვეყნის აბორიგენი მოსახლეობა და რა სახელითაა ცნობილი აბორიგენი მოსახლეობის ცეკვა?

(1) **13.6.** რა განსაკუთრებული უფლებით სარგებლობს აბორიგენი მოსახლეობა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში?

(1) **13.7.** რომელ ეკოლოგიურ პრობლემაზეა საუბარი ტექსტში?